

**ტრადიცია და სიახლე ქედის რაიონის ხალხურ მუსიკალურ ყოფაში
(აჭარის 2013 წლის საექსპედიციო მასალების მიხედვით)**

ქედის რაიონის ხალხური მუსიკალური ტრადიციით ჩემი დაინტერესება განაპირობა 2013 წელს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების მიერ ორგანიზებულმა სტუდენტურმა ფოლკლორისტულმა ექსპედიციამ, რომლესაც მე ვხელმძღვანელობდი¹.

ქედის რაიონი გამორჩეული მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული ტრადიციების გამო, არაერთხელ გამხდარა ქართველ მკვლევართა ინტერესის საგანი. თბილისის კონსერვატორიის მუსიკალური ფოლკლორის მიმართულების არჩევანი შემთხვევითი არც ამჯერად ყოფილა. ხალხური შემსრულებლობის მხრივ ექსპედიციისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სოფლები: ქვედა ბზუბზუ, ქვედა მახუნცეთი, კვაშტა, ვაიო, დოლოგანი, ზემო აგარა, ცხმორისი, კოკოტაური, დანდალო, მებიძნა, მერისი, და საკუთრივ დაბა ქედა. მთლიანობაში ექსპედიციამ 250-ე ნიმუში ჩაიწერა (ვარიანტების ჩათვლით). ჩვენ ასევე შესაძლებლობა გვქონდა ფოტოფირზე აღგვებებიდა ქედის რაიონის კულტურის ცენტრის თანამშრომელთა მიერ შეგროვილი, ხელნაწერი ნიმუშები: შელოცვები, ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები, მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა სხვადასხვა რიტუალისა და ხალხური ჩვეულების შესახებ (მთლიანობაში 1200-მდე ფოტო). აღვნიშნავ, რომ აღგილობრივი კულტურის სამსახურების თანამშრომლები განსაკუთრებული რუდუნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ მასალების შეგროვებისა და სისტემატიზაციის საჭმეს.

სტუდენტური ექსპედიციის მიერ ჩაწერილ მასალაში იკვეთება ერთი მხრივ აჭარისთვის და საკუთრივ ამ რაიონისთვის ტრადიციული, ძველი რეპერტუარი (როგორც სასიმღერო, ისე საკრავიერი), მეორე მხრივ კი ისეთი ნიმუშები, რომლებიც მოგვიანებით, როგორც ირკვევა გასული საუკუნის მეორე ნახევარშია გაჩენილი.

კვლევის ინტერესებმა, ბუნებრივია, მოითხოვა, თვალი გადაგვევლო აჭარული მუსიკალური ფოლკლორის ფიქსაციის ისტორიისათვის და გავცნობოდით ამ კუთხის ჩვენთვის ხელმისაწვდომ ყველა საექსპედიციო ჩანაწერს. ასეთი აღმოჩნდა: შალვა მშველიძის ლილვაკების კოლექცია (1931); ალექსანდრე ფარცხალაძის

¹ ჯგუფის წევრები იყვნენ კონსერვატორიის მაგისტრანტები სოფო კოტრიკაძე და თეონა ლომსაძე.

ლილვაპების კოლექცია (1934); ვლადიმერ ახობაძის (1949, 1958, 1959) ივებ გრიმოს (1967); მინდია უორდანიას (1971, 1972); ევსევი ჭოხონელიძის (1973); კახი როსებაშვილის (1973); ედიშერ გარაყანიძის (1988); ფონდ „დია საზოგადოება საქართველოსა“ და ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებული კომპლექსური (2005, ხელმძღვანელი ელგუჯა დადუნაშვილი), და ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის (2005, ხელმძღვანელი ნატო ზუმბაძე) ექსპედიციები.

ჩამოთვილილი საველე კვლევების ნაწილი ქედის რაიონსაც მოიცავს და შესაბამისად ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 30-იან, 50-იან, 60-იან და 70-იან წლებში ქედაში ფიქსირებული ტრადიციული აჭარული ნიმუშების დიდი ნაწილი 2013 წლის ექსპედიციამაც ჩაიწერა.

როგორც ძველი და ახალი საველე მასალების შედარება და შეჯერება გვიჩვენებს, რომ ქედის რაიონისათვის ტრადიციულია სიმღერები: ძველი და ახალი „მაყრული“, „მოყვარე“, „ევრიდა მასპინძელსა“, „უამიელურმი“, ძველი და ახალი „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, „ნადური“, „ჩათხობილი“, „ხერტალმა ხელი დამგალა“, „ჩელა საჩეჩელა“, „ვოსა“, „შვიდკაცა“, „ალიფაშა“, „ძველი ხასანბეგურა“, „აბადელა“, „ხიწკალა“, „ბახმაროს მთაზე“, „მერისული“, „ორთამელური“, „თირინი“, „ჩაგუნა“, „ჩარიორამა“, „რაშა“, „მისდევს მელა ლომსა“, „ვოითანანი“. აქვე გვხვდება აკვნის ნანები და ტირილები. ჩამოთვლილი სიმღერების უდიდესი ნაწილი აჭარის დანარჩენი რაიონების ამავე სახელწოდების სიმღერებისაგან მხოლოდ ვარიანტულად სხვაობს.

ძველი აჭარული სიმღერების გვერდით დღესდღეობით ქედაში საკმაოდ გარცელებული და პოპულარულია ისეთი ნიმუშები, რომელთა როგორც მუსიკალური ისე არამუსიკალური პარამეტრები აშკარად მეტყველებს მათ უფრო გვიანდელ წარმოშობაზე. ამგვარი რეპერტუარი საკმაოდ საინტერესო და არაერთგვაროვანია. მასში შეიძლება გამოიყოს სასცენო პრაქტიკიდან ამოზრდილი, მუსიკალური ენის თვალსაზრისით ტრადიციულ ნიმუშებთან შედარებით ახლოს მდგომი, ხშირ შემთხვევაში „განდაგანას“ ინტონაციაზე აგებული სიმღერები – „ნანიდა ნანა“, „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, „გაღმა გორას ნალია“, „წინდებს გქსოვ და მიქსოვია“, „შევარდენი ამოფრინდა“ და სხვ. (აუდიომაგალითი 1); საბჭოთა იდეოლოგიით გამსჭვალული ნიმუშები ბელადებზე, სამამულო ომისა და შრომის გმირებზე – „ლენინ ოქტომბრის ბელადო“, „სტალინ სტალინ საყვარელო“,

„გორისციხესთან სახლი დგას“, „22 ივნისს ომი დაიწყო“, „წელიწადი თორმეტი თვე“, „სიმღერა ომის გმირებზე“, „განახლებულ აჭარას“, „ყანა ქალებს ვეღარ იტევს“, „შრომაშია ხალხის ძალა“ და სხვ. (აუდიომაგალითი 2); ძირითადად გეოგრაფიულ ადგილებთან დაკავშირებული არც თუ იშვიათად პატრიოტული სულისკვეთების – „სიმღერა აჭარაზე“, „სიმღერა ბათუმზე“, „ჩემო ლამაზო ქედებო“, „სამას წელიწადს იბრძოდი“, „დანდალოდან დოლოგნამდე“, „სიმღერა ქედაზე“ და სხვ. (აუდიომაგალითი 3); და ბოლოს ქალაქური სტილის ნიმუშები – „მოდი, მოდი ეს ქვეყანა“, „სუფრული“, „რა მამალი გვყოლია“, „ცოლი მომიკვდა“, „აბადელი ოვდელია“ და სხვ. (აუდიომაგალითი 4).

ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანია საკვლევ რაიონში მუსიკალური ფოლკლორის ფუნქციონირებისა და სხვადასხვა ასაკის შემსრულებელთა ტრადიციასთან დამოკიდებულების საკითხი. სიახლეს აღარ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გასული საუკუნიდან მოყოლებული ხალხური მუსიკა თანდათან ჩამოცილდა ქართველი კაცის ყოფას. ედიშერ გარაფანიძე XX საუკუნეში შემსრულებლობის სფეროში მომხდარ ცვლილებებს შორის პირველ რიგში შესრულების ადგილის შეზღუდვას ასახელებს (გარაფანიძე, 2007:67). არაერთი შრომისა და საკულტო-სარიტუალო სიმღერის ყოფიდან გაქრობა და მივიწყება განაპირობა შრომის პროცესის ტექნოლოგიზაციამ, თანამედროვე ადამიანის რწმენა-წარმოდგენებში მომხდარმა ცვლილებებმა, ცხოვრების ტემპის ზრდამ, მასობრივმა კომუნიკაციებმა. სხვადასხვა მხრიდან მომდინარე სხვადასხვა მუსიკალური პლასტის ტოტალურმა შემოჭრამ გარკვეული ზეგავლენა იქონია ქართული მრავალხმიანობაზე და მის შინაგან კანონზომიერებებზე. ცხადია ქედა არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ყოფაში ტრადიციული სიმღერის შესრულება აქაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებად შეიძლება განვიხილოთ. მაგალითად ისეთ ქორწილში ან სუფრასთან, სადაც თავმოყრილია ტრადიციული სიმღერისა და გალობის შემსრულებელთა რომელიმე ჯგუფი, ან მუსიკალური ტრადიციით გამორჩეული ოჯახი. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცხადია აწმყოში ხალხურ სიმღერასა თუ დასაკრავს დაკარგული აქვს წარსულში არსებული ფუნქცია. იგი ადარ აღიქმება ამა თუ იმ რიტუალის და წეს-ჩვეულების ისეთივე განუყოფელ და ორგანულ ნაწილად, როგორიც წარსულში აღიქმებოდა.

ჩვენ მიერ ჩაწერილ მთქმელთა უმეტესობა, იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც XX საუკუნეში ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში მომხდარ გარდატეხის ეპოქაში იცხოვრა. მათ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს

ხალხური მუსიკის ბუნებრივ გარემოში შესრულების ფაქტები. ამ რაიონის უხუცესი მომღერლები იხსენებენ შრომის სიმღერების შესრულებას ყანაში, მაყრულებისას პატარძლის წაყვანისას, მათსავე მეხსიერებაში ინახება ბავშვობაში მოსმენილი აკვის ნანები, თუ ქალთა შრომის პროცესთან დაკავშირებული ნიმუშები. ამავე დროს მათი ცხოვრების დიდი ნაწილი მოიცავს იმ პერიოდს, როცა ქართული ხალხური სიმღერა ტოვებს მისთვის ბუნებრივ გარემოს და აქტიურად იწყებს ფუნქციონირებას სცენაზე. ამგვარად მათი მუსიკალური გამოცდილება ერთი მხრივ წინაპრებისგან გადმოცემულ ინფორმაციას და საოჯახო მუსიცირების ტრადიციას ეფუძნება, მეორე მხრივ სასცენო პრაქტიკას, რომელსაც ისინი ახალგაზრდობაშივე ეზიარნენ. ამ თაობის შემსრულებელთა რეპერტუარიც მეტწილად ორივე, როგორც ძველ, ისე ახალ ნიმუშებს მოიცავს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი უარყოფითი ტენდენცია, კერძოდ ის, რომ უმეტეს შემთხვევებში მათ თანამედროვე სიმღერების შესრულება უფრო ეადვილებათ ვიდრე ძველისა. მაგალითად უჭირთ და მხოლოდ ფრაგმენტულად შეუძლიათ გადმოსცენ ისეთი სიმღერები როგორიცაა „შვიდკაცა“, „ალიფაშა“ ან „ჩათხრობილი“, თუმცა გაცილებით შეწყობილად და ადვილად გამოსდით „სიმღერა აჭარაზე“, „დანდალოდან დოლოგნამდე“, „ლენინ ოქტომბრის ბელადო“, და სხვ. თავად მომღერლების განმარტებით „შვიდკაცა“, „ალიფაშა“, „ჩათხრობილი“ რთული სიმღერებია, და მათ შესასრულებლად კარგად მომზადება და ამავე დროს მომღერალთა უფრო დიდი რაოდენობაა საჭირო. აუცილებელია მომღერლების რეგულარული შეკრება და მრავალ ხმაში შემღერება, ეს ვერ ხერხდება სხვადასხვა ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების გამო. ახალი, მეტწილად საბჭოთა თემატიკის სიმღერების უკეთ, უფრო შეწყობილად შესრულების უმთავრესი მიზეზი კი მათივე მუსიკალური ენის სიმარტივეა. თვითმყოფად მრავალხმიან მუსიკალურ აზროვნებას საბჭოთა პერიოდში შექმნილი ფოლკლორის სახით დაუპირისპირდა გაცილებოთ უფრო მარტივი მუსიკალური ენის მქონე თამარ მესხის სიტყვებით „აღმაფრენით გაჟღენთილი ტექსტებით, პლაკატური ხასიათით, სტერეოტიპული პარადულობთ“ გამსჭვალული ნიმუშები (მესხი 2002:495). ქართული მუსიკალური ფოლკლორის ამ შრემ „არქაული ტრადიციებით მდიდარ გლეხურ შემოქმედებასთან მკვეთრი კონტრასტი შექმნა“ (იქვე:493).

მეტად საყურადაღებოა სიძველისა და სიახლის გადაკვეთის გზები. ერთ-ერთი ჩაწერისას, სოფელ კოკოტაურში მომღერლებმა ერთმანეთს გადააბეს ბატონებისა და საბჭოთა შინაარის ნიმუში. თუმცა მათ აღქმაში ეს იყო არა ორი, არამედ ერთი

სიმღერა, რომელსაც მათივე განმარტებით ყოველთვის ასე ასრულებდნენ (აუდიომაგალითი 5). სიმღერის ამგვარი გარდასახვა ისევ და ისევ XX საუკუნეში ხალხურ ყოფაში მომხდარი მთელი რიგი ცვლილებების გამოძახილია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ტრადიცულ აჭარულ ყოფაში ბატონებისადმი მიმღვნილი ნიმუშები საერთოდ არ ფიქსირდება, სიმღერის ეს ვარიანტი როგორც ჩანს აქ მეზობელი გურიიდანაა გადმოსული. მას დაკარგული აქვს სოციალური ფუნქცია. მთქმელებმა კატეგორიულად უარყვეს მისი სამკურნალო რიტუალთან კავშირი, თუმცა ვერც რომელიმე წეს-ჩვეულება დაასახელეს, რომელსაც საკუთრივ ეს სიმღერა ახლდა. ფაქტია, რომ მათ მეხსიერებაში ნიმუში ამგვარად ცოცხლობს და მასში ძველი და ახლი მუსიკალურ-შინაარსობრივი პლასტი დიფერენცირებული არ არის.

ქედის რაიონის ახალგაზრდა შემსრულებლები სიმღერას უმეტესად კულტურის ცენტრებთან, ან სასოფლო კლუბებთან არსებულ ანსამბლებში სწავლობენ. რეპერტუარი, რომელსაც ასეთი ჯგუფები უუფლებიან ხშირად მათი ხელმძღვანელის გემოვნებაზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით საქართველოში არსებული სასცენო შემსრულებლობის ორი ურთიერთგანსხვავებული მიმართულება, რომელთაგანაც ერთ-ერთს სწორება აუთენტიკურ ფოლკლორზე აქვს, ხოლო მეორეს პირუკუ – ქედაშიც თანაარსებობს. ექსპერიციამ ჩაიწერა ისეთი ანსამბლები, რომელთათვისაც არ წარმოადგენს პრიორიტეტს ტრადიციული რეპერტუარი და შემსრულებლობა, და ისეთებიც, რომლებიც უპირატესობას სწორედ ამას ანიჭებენ. ასეთი ჯგუფების არჩევანის ერთ-ერთი მიზეზი ბუნებრივია ისიცაა, რომ საბჭოთა პერიოდში შექმნილი ნიმუშები დღესდღეობით ადარ სარგებლოს პოპულარობით. თუმცა უფრო არსებითი და მთავარი ამ პროცესში ვფიქრობთ ბოლო ათწლეულებში, დედაქალაქში გაჩენილი ის იმპულსებია, რომლებიც ინერციით რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებზეც ახდენს ზეგავლენას. ესაა ტრადიციისაკენ შემობრუნების ტენდენცია, რომელიც შესრულებისას ხალხური სიმღერის არსებითი შინაგანი კანონზომიერებების გათვალისწინებას გულისხმობს. ასეთი ახალგაზრდებისათვის ხალხური სიმღერა თვითგამოხატვის ერთგვარი საშუალებაცაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქედის კულტურის ცენტრთან არსებული გაულენისათვის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი – „ელესა“ და „იაგუნდი“, და მერისის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი „მოყვარე“. დღესდღეობით ეს ჯგუფები ერთი მხრივ ტრადიციის მატარებელთაგან,

მეორე მხრივ საექსპედიციო ჩანაწერებიდან სწავლობენ და აღადგენენ მათივე კუთხის ნიმუშებს. მათი საქმიანობა ძირითადად მუსიკალური ფოლკლორის აღდგენას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას ემსახურება.

ვოკალური მუსიკის ანალოგიურ სურათს გვაძლევს საკრავიერზე დაკვირვება. აჭარის დანარჩენი კუთხეების მსგავსად ქვედაში ძლიერია ჭიბონზე შესრულების ტრადიცია. რეპერტუარი მოიცავს „განდაგანასა“ და „ხორუმის“ განსხვავებულ და უაღრესად საინტერესო ვარიანტებს, აგრეთვე ისეთ დასაკრავებს როგორიცაა: „ყოლსამა“, „ქურთბარი“, „ლეპური“, „ბაღდადური“. გვხვდება ჭიბონზე დამღერების ფაქტებიც. საჭიბონე რეპერტუარში აშკარა სიახლეა ამ საკრავზე ისეთი მელოდიების შესრულება როგორიცაა „კეკელა და მარო“ და „მთაში სალამურს ვაკვნესებ“ (აუდიომაგალითი 6). ამავე კონტექსტში აღსანიშნავია სამმილიანი ჭიბონის არსებობა და მასზე შესრულებული მელოდიები (აუდიომაგალითი 7).

საკრავიერ მუსიკაში აგრეთვე გასულ საუკუნეში გაჩენილ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ფანდურის დიდი გავრცელება, რაც, პირდაპირპორპორციულად ამცირებს ჩონგურის პოპულარობას. ამ გარემოების დამატებითი დასტური იყო ჩვენთვის სოფელ ვაიოში, თავართქილაძეების ოჯახში ნანახი ფანდურად გადაკეთებული ჩონგურიც. ქედის რაიონში ფანდური გვხვდება როგორც ხალხური, ისე ტემპერირებული სახით. სასიმღერო თანხლების გარდა, მასზე ხშირად ასრულებენ „ხორუმსა“ და „განდაგანას“. ქედის მუსიკალურ ყოფაშივე ვხვდებით აჭარაში უკვე ტრადიციულად ქცეული გარმონის გამოყენებასაც, როგორც ცეკვის, ისე სიმღერის თანხლებად.

ფაქტია, რომ ხალხური მუსიკალური ტრადიციის მხრივ ქვედა ერთ-ერთი გამორჩეული რაიონია. ფოლკლორული მუსიცირების შემთხვევები გვხვდება სხვადასხვა თაობებში. საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია სასიმღერო თუ საკრავიერი რეპერტუარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი ტენდენცია – მუსიკალური ფოლკლორის თანდათან უფრო და უფრო ვიწრო წრებისთვის გასაგებ ხელოვნებად გადაქცევა ამ რაიონშიც შეინიშნება. გივი ორჯონიკიძის სიტყვებით ჩვენს თანამედროვეობაში „ხალხურმა მუსიკამ ბევრისთვის დაკარგა იმ ბუნებრივი სამეტყველო მუსიკალური ენის მნიშვნელობა, რომელსაც ადამიანი წინათ თავის ფიქრსა და გრძნობას ანდობდა“ (ორჯონიკიძე, 1985:194). ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ხალხურ მუსიკას დედაქალაქში უფრო მეტი მსმენელი და გულშემატკივარი ჰყავს, ვიდრე იქ, სადაც მისი ფუნქციონირების უფრო ბუნებრივი გარემოა. საიდანაც უნდა მიედინებოდეს

სიმღერა დედაქალაქში. გვიქრობთ ამ პრობლემების ფონზე მწვავედ დგება რეგიონების სწორად ინფორმირებისა და ხალხური მუსიკალური განათლების საკითხი. ტრადიციული მუსიკის ხელშეწყობა, განსაკუთრებით იქ, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ეთნიკური მუსიკალური გენი, რის ცოცხალ მაგალითსაც ამ შემთხვევაში ქვედის რაიონი წარმოადგენს, ერთ-ერთი ყველაზე საშური და გადაუდებელი საქმეა.

და ბოლოს მიუხედავად მთელი რიგი სირთულეებისა, რომელთა წინაშეც აყენებს თანამედროვეობა ფოლკლორს, უნდა ითქვას რომ საქართველოში მრავალ ხმაში სიმღერა ჯერ კიდევ რჩება ადამიანების კომუნიკაციის, საერთო სულისკვეთების გადმოცემის ერთ-ერთ საშუალებად. მთქმელთა მეხსიერებაში მცირეოდენი სტიმულის შემთხვევაშიც კი ხელახლა ცოცხლდება ესა თუ ის ნიმუში, რაც პირველ რიგში მათვე ახარებს, და შემდეგ ჩვენ მათგან ახალი ინფორმაციის მომლოდინედ. ამის ნათელი მაგალითები ჩვენი საველე მუშაობის განმავლობაში არაერთხელ ვიხილეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გარაყანიძე ედ., ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა, 2007.
2. გეგეშიძე მ., ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, 1978.
3. ვალიშვილი ნ., ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა და ხალხური მუსიკის შემსრულებლობის პრობლემები თანამედროვე საქართველოში. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი (წურწუმია რ., უორდანია ი., (რედ.)), გვ. 590-607, 2008.
1. კოტრიკაძე ს., აჭარული ხალხური მუსიკა XX საუკუნის 30-იანი და 50-იანი წლების საექსპედიციო ჩანაწერებში (ტრადიცია და სიახლე). საბაკალავრო ნაშრომი. ხელნაწერი. ქმნა არქივი, 2011.
2. კოტრიკაძე ს., ტრადიციისა და სიახლის პრობლემა აჭარულ ხალხურ მუსიკაში (XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე) სამაგსიტრო ნაშრომი ხელნაწერი. ქმნა არქივი, 2013.
3. მესხი თ., საბჭოთა პერიოდის ქართული სამუსიკო ფოკლორის შესახებ, კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი (წურწუმია რ., უორდანია ი., (რედ.)), გვ., 2002.

4. ორჯონიქიძე გ., თანამედროვე ქართული მუსიკა ესთეტიკისა და სოციოლოგიის შუქზე, 1985.
5. შილაკაძე მ., ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა, 1988.
6. ჩხილაძე გრ., თანამედროვე ქართული მუსიკალური ფოლკლორი, 1961.
7. წურწუმია რ., ქართული ხალხური სიმღერა დღეს – ცოცხალი პროცესი თუ სამუზეუმო ექსპონატი? (სოციოლოგიური ანალიზის ცდა) კრებულში: მუსიკისმცოდნეობის საკითხები (გაბუნია ნ., წურწუმი რ., (რედ.)) გვ. 3-17, 1997.
8. ჭოხონელიძე ე., ქართული მუსიკალური ფოლკლორი და თანამედროვეობა (ისტორიისა და თეორიის საკითხები) წლიური სამეცნიერო შრომა. ხელნაწერი. ქმნა არქივი, 1995-96.
9. Земцовский И. Народная музыка и современность (К проблеме определения фольклора). Современность и фольклор (Статьи и материалы.), 1977.

დამოწმებული ექსპედიციები

1. მშველიძე შალვა (1931). ხმები წარსულიდან (ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფიის ცვილის ლილვაკებიდან), 2007.
2. ფარცხალაძე ალექსანდრე (1934). ხმები წარსულიდან (ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფიის ცვილის ლილვაკებიდან), 2008.
3. ახობაძე ვლადიმერ (1949). აჭარა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივი, (ამის შემდეგ ქმნდა).
4. ახობაძე ვლადიმერ (1958). აჭარა ქმნდა.
5. ახობაძე ვლადიმერ (1959). აჭარა ქმნდა.
6. გრიმო ივებ (1967) აჭარა ქმნდა.
7. უორდანია მინდია (1971) აჭარა ქმნდა.
8. უორდანია მინდია (1972) აჭარა ქმნდა.
9. როსებაშვილი კახი (1973) აჭარა ქმნდა.
10. ჭოხონელიძე ევსევი (1973) აჭარა ქმნდა.
11. გარაყანიძე ედიშერ (1988) აჭარა ქმნდა.
12. დადუნაშვილი ელგუჯა (2005) აჭარა ქმნდა.

13. ზუმბაძე ნატალია (2005) აჭარა ქხმშლფა.

14. რუხაძე თეონა (2013) აჭარა ქხმშლფა.

გამოყენებული აუდიომაგალითები²

1. „ნანიდა ნანა“ – ასრულებს ოთარ დუმბაძე, სოფელი მემიბნა.
2. „ლენინ ოქტომბრის ბელადო“ – ასრულებენ ციალა ბოლქვაძე, ოთარ ბეჟანიძე, ზია ბოლქვაძე. სოფელი ქვედა ბზუბზუ.
3. „სიმღერა აჭარაზე“ – ასრულებენ ჰასან ბარამიძე, ამირან თურმანიძე, შალვა ხალვაში, ბინალ თურმანიძე, ჯემალ თურმანიძე. სოფელი დიდი მერისი.
4. „სუფრული“ – ასრულებს ანსამბლი „მოყვარე“ სოფელი მერისი.
5. „ბატონებო“ – ასრულებენ ჰასან, ოსმან და მურად თავართქილაძეები. სოფელი კოკოტაური.
6. „მთაში სალამურს ვაკვნესებ“ – ასრულებს თემურ არძენაძე, სოფელი დანდალო.
7. „ხორუმი“ – ასრულებს მურად თავართქილაძე. სოფელი კოკოტაური.

² აუდიოდანართში გამოყენებულია აჭარის, 2013 წლის სტუდენტური ექსპედიციის მასალები.